№ 21 იანვარი 28, სამშაბათი. 1886 იანვარი 28, სამშაბათი № 21

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ-გვარი განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 27 იანვარს

რუსეთში დიდიხანია დიდი სჯა და ბაასია გამართული გლეხ-კაცობის ეკონომიურს მდგომარეობაზედ. ამა საგნის გამო თუმცა მრავალ-გვარი აზრი დადის ლიტერატურაში, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, მაგრამ ამას კი ყველანი ერთ-ხმივად აღიარებენ, რომ გლეხ-კაცობის ეკონომიური ყოფა ცხოვრება მართლა შესაბრალისია და მეტად უნუგეშო. მრავალთა მიზეზთა შორის ერთს უმთავრესს მიზეზად იმასა ჰსთვლიან, რომ გლეხ-კაცობას ეგრედ-წოდებული საკომლო (ნადელი) მამული მეტად ცოტა აქვთო და თუ ამ მხრით ხელს აღუპყრობენ, გლეხ-კაცობა გამოკეთდებაო და უკეთესს დღეში ჩავარდებაო. ეხლანდელი სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო დიდს მეცადინეობაშია, რომ ამ საქმეს უწამლოს რამე და ჯერ ხანობით ერთი ღონისძიება აღმოაჩინა. მისის წინადადებით და შუამდგომელობით დაწესდა სახელმწიფო გლეხ-კაცობის ბანკი. ამ ბანკმა ფულით შემწეობა უნდა აღმოუჩინოს გლეხ-კაცობას, თუ ვინიცობაა გლეხ-კაცობა მოისურვებს მამულების შესყიდვას. რასაკვირველია, საკომლო მამულების გადიდებას ეს ღონე ცოტად თუ ბევრად ხელს შეუწყობს და მით გლეხ-კაცობას სახსარი ეძლევა გაჭირებიდამ გამოვიდეს. ამ სახით დიდ-ძალი მამულები გადავიდა გლეხ-კაცობის ხელში და კიდევაც გადადის. ეს ამბავი, არამც თუ აფრთხობს ვისმეს, არამედ სასიხარულო ამბათ მიაჩნიათ ყველას, ვისაც კი რწმენათ მიღებული აქვს ის მართლა და სამართლიანი და ჭეშმარიტი აზრი, რომ ქვეყნის ეკონომიური სიმტკიცე და ძლიერება გლეხ-კაცობის მიწათ მფლობელობაზეა დამოკიდებული. რამოდენადაც ეგ მიწათმფლობელობა ფართოა, სხვაზედ დამოუკიდებელი და თავისუფალი მიწათ-მოქმედებისათვის, იმოდენად ქონებითი ძალ-ღონე ქვეყნისა, თუ სახელმწიფოსი მტკიცეა, ძლიერი და მუდმივი.

თუმცა, როგორც ვჰსთქვით, სახელმწიფო გლეხ-კაცობის ბანკმა ძალიან წაახალისა გლეხ-კაცობა მამულების სყიდვად და დიდძალი მამულებიც შეიძინეს გლეხთა, მაგრამ ამასთანავე ერთი დიდი სენი შეჰნიშნეს გლეხ-კაცობაში. გლეხ-კაცობა რუსეთში მეტად ადვილად იმეტებს მამულს გასასყიდად და თუ ბანკის შემწეობით მამულების შესყიდვის გამო გლეხთა საკომლო ჰმატულობს, ამ სენის გამო ჰკლებულობს და ძალიან შესამჩნევადაც. ეს სენი რომ შიგა-და-შიგ, კანტი-კუნტად იყოს, ამას კიდევ ისე არ შეუშინდებოდა კაცი. საქმე იმაშია, რომ გადამდებ ჭირსავით გაძლიერდა ეს სენი და თითქმის ზოგად მოვლენათ შეიქმნა.

სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ამ გვარებში მეტად ფხიზელს და ფრთხილს ბ-ნს ასტროვსკის არ გამოეპარა ეს ამბავი. მან იგრძნო რა რიგად ძლიერ შეუძლიან ამ სენს შეარყიოს კეთილ-დღეობა გლეხ-კაცობისა, თუ წამალი არა დაედო-რა. იმისთანა წამალი კი არა, რომ დღეს შეეკრას პირი წყლულსა და მერე კი ისევ გამოჰხეთქოს უფრო ძლიერ, არამედ იმისთანა, რომ წყლული გამთელდეს და აღარ იჩინოს კვლავ თავი. ამის გამო განიზრახა სახელმწიფო რჩევაში შეიტანოს წინადადება, რომ გლეხ-კაცობას ჩამოერთვას ნება საკომლო მამულების გაყიდვით გაცემისა ან სრულიად, ან იმოდენად, რამოდენადაც სასურველია გლეხ-კაცობის საკომლო მამულები გლეხ-კაცობასვე შეჰრჩეს. ვიდრე ამ წინადადებას შეიტანდა, რასაკვირველია, საჭიროდ დაინახა ამ საქმის ვითარება შეეტყო სამინისტროს ზედ-მიწევნითა და პირ-და-პირ იმათგან, ვინც გლეხ-კაცობას ასე თუ ისე ახლო უდგას. უწინაც ვაცნობეთ «ივერიის» მკითხველებს, რომ ჩვენებურს «გუბერნიის საგლეხო სასამართლოსაც» მოჰკითხოვეს ამა საქმის შესახები ცნობანი.

ჩვენ არ ვიცით, რა პასუხი წარუდგინა აქაურმა «საგლეხო სასამართლომ». და თუ ეს უკანასკნელი გარემოება მოვიხსენიეთ, მარტო იმისთვის მოვიხსენიეთ, რომ აქედამა ჰსჩანს სამინისტროს ჩვენი მხარეც სახეში ჰქონია. თუ ეს ასეა, ჩვენი, ესე იგი აქაური მოვალეობაა ყველაზედ წინ ეს საგნები აღვკვესხნა: 1) ჩვენშიაც არის ეგ სენი შენიშნული, თუ არა; 2) თუ შენიშნულია, იმავე მიზეზით გამოწვეულია, თუ აქ სხვა მიზეზია; 3) თუ იმავე მიზეზით არის, იგივე წამალი მოუხდება, თუ არა და 4) თუ სხვა მიზეზია, რა მიზეზია იგი და რა წამალია საჭირო. იმედი გვაქვს, რომ ყოველივე ეს დაწვრილებით გამოკვლეული იქნება, ცნობიერად აღებულ-დაღებული, ყოველ-მხრით გასინჯული და გაჩხრეკილი...

სახსოვრად წმიდისა საქართველოს მეფის დავით აღმაშენებელისა.

რვა ნახევარ საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც სახელოვანად აღესრულა წმინდა მეფე დავით III, რომელიც საქართველოს ეკლესიამ ღირსეულად შერიცხა წმიდანებში და სამართლიანად მიუზღო საპატიო სახელი «აღმაშენებელისა». დღეს რვა ნახევარ საუკუნე გასულა მას შემდეგ, რაც საუკუნოდ გაუქმდა ძლიერი, ძლევა-მოსილი მისი მკლავი და განისვენა მოსვენების არა მცოდნემან მისმა მეფურმა გულმან. განჰქრნენ წელნი, საუკუნენი, მაგრამ არ განჰქრა სახელი მისი ქართველთ გულში და ვინემდის ერთიცა მაინც ღირსეული მამულისშვილი დარჩება ჩვენს ჭირნახულს საქართველოში, დიდებული სახელი დიდებულის მეფისა ქართველთ მეხსიერებიდგან არ წაიშლება. ეგრეთ დრო აჭარწყლებს და მიმოაბნევს მცირეთ და ბოროტმოქმედთა სახელებს და ამეფებს უმწერვალესს ღირსებას, და ჭეშმარიტებას ნამდვილს შეუგინებელს პატიოსნებას და დიდებას ერისადმი ღვაწლს.

წმინდა მეფე დავით III ერგო მძიმე და ძნელი ტვირთი ქრისტიანობის და ერის მსახურებისა იმ საზარელს მრთელის ევროპის და ქრისტიანობისათვის დროს, როდესაც მრთელი ქვეყანა თითქოს ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო: მაჰმადიანობა ხმალ-ამოწვდილი ქრისტიანობას წინ აღუდგა. მეთერთმეტე საუკუნეში გამაჰმადიანებული სელჯუკელ-თურქები მოეფინენ მრთელს დასავლეთს აზიაში, დაიპყრეს ტურანის ქვეყანა, ავგანი, სპარსეთი, არაბეთი, დაამხვეს ძლიერი სახელმწიფო ბაღდადისა, ეგვიპტე, პალესტინა და საბერძნეთის მფლობელობა მცირე აზიაში და დაარსეს დიდი, ძლიერი იკონიის სახელმწიფო. ვიზანტიის იმპერიიდგან დარჩა მხოლოდ სტამბოლი მისის არე-მარეთ. იმპერატორი საბერძნეთისა რომანოზ დიოგენი წინ ვერ დაუდგა და მრთელის მისის ჯარით ტყვეთ იქმნა წაყვანილი 1071 წელს. ამავე დროს თურქების ჯარი ხუთასის ათასის ჯარით უეცრად დაესხა საქართველოს 10 დეკემბერს 1067 წელს; მაგრამ მეფე ბაგრატმა შეამწყვდია ბარბაროზთ ლაშქარი მთებში და გააქცია. 1073 წელს, შემდეგ ბერძნების დამარცხებისა მათ დაიჭირეს სომხითი და მოარბიეს ქართლი, მაგრამ მეფე გიორგიმ, დავით აღმაშენებლის მამამ ამოსწყვიტა თათრის ჯარი და უფრო გააგრძელა საქართველოს საზღვარი. უკანასკნელ მესამედ დაესხნენ სელჯუკები უძლიერესი ჯარით საქართველოს 1080 წელს, და ხარჯი დაადვეს. ეს იყო, სწერს მემატიანე, «პირველი დიდი თურქობა». თათრები დაესხნენ საქართველოს საზღვრებზე. მწარე დრო დაუდგა ქრისტიანობას. ბარბაროსები ცეცხლით და ხრმლით აგრცელებდნენ მაჰმადიანობას ყოველგან, სადაც კი ფეხს მოიდგამდნენ; მონასტრები და ეკლესიები იქცეოდა, შეიგინებოდა, წმინდა ადგილები აღმოსავლეთისა და პალესტინისა განრყვნეს. შეკრთა მრთელი საქრისტიანო და ყოველ კუთხიდგან ევროპიის სახელმწიფოებისა გროვდებოდა ეგრეთ წოდებული ჯვაროსანთა პირველი ლაშქარი ევროპიელთა რიცხვით 100,000 მეტი სრულიად მოსწყდა მცირე აზიაში (1096 წ.) მეორე ოთხჯერ მეტი ჯარი ჯვაროსანთა აგრეთვე მოსწყდა უმეტეს ნაწილი და 400,000 მეომართაგან მხოლოდ 25,000 კაცთა მიაღწიეს იერუსალიმს და აიღეს წმინდა ქალაქი. (1099 წ.)

აი, ამისთანა დროს აღვიდა სამეფო ტახტზე თექვსმეტი წლის დავით 1089 წელს. საქართველო თურქთ ჰქონდათ დაჰპყრობილი და ხარკს აძლევდა ხონთქარს; ეკლესიები დახვდა გაცარცული, საზღვრები სამეფოსი გამაჰმადიანებული, წესიერება საეკლესიო და სახელმწიფო დარღვეული და მოოხრებული (განსაკუთრებით ქართლი და მესხეთი) და თვით სარწმუნოება შერყეული (ზოგნი დიდებულთაგანნი შიშის ქვეშ გამაჰმადიანდნენ). ივერიის ეკლესიის და საქართველოს ბედ-იღბალი უფსკრულზე ეკიდა და უზარმაზარი ხრმალი მაჰმა-

ფელეტონი

საუბარი ვაგონში

(შემდეგი *)

ის იყო აფიცერი გავიდა და ვაგონში შემოვიდა ერთი მებატონე დარბაისლურის სახისა და დაჯდა აფიცრის ადგილსა, ქალაქიდამ მომავალის სერთუკიანის გვერდით. აღმოჩნდა, რომ ისინი ერთმანეთს იცნობდნენ. სალამის შემდეგ ისევ მეურნეობაზე გაჩნდა ლაპარაკი. დარბაისელ მებატონეს რუსეთიდამ შვილი მოსვლოდა კურს-დასრულებული უმაღლეს სამეურნეო სასწავლებელში.

— ახლა კი ყოჩაღათა ხართ, უთხრა სერთუკიანმა მებატონეს. შვილი მოგივიდა და მამულის მოვლაში ძალიან დაგეხმარება. თქვენმა მზემ ახლა ჩვენ მებატონეს თუ შვილი ნასწავლი ჰყავს და მამულზე დაბინავდა, მეტი ბედნიერებაც არ უნდა.

— მე სწორედ მოგახსენოთ, ჩემს შვილს არ ვურჩევ მამულის მეურნეობას. ისევ სხვა საქმეს,— სამსახურში შესვლას, ვამჯობინებ.

— როგორა ბატონო, სამეურნეო სწავლა მიაღებინე უმაღლეს სასწავლებელში და ახლა გზას უცარავთ?

— ძალიან დააშავა და მიჭკარა, რომ სამეურნეო სწავლაზე წავიდა. ბევრი ვუშალე და არ დაიშალა. ახლა დამდგომია შინ მინდა მამული გავაკეთოვო. მე ნებას არ ვაძლევ.

— ეგ ხომ დაღუპვაა შვილისა. რა გინდათ შინ იყოს, მოუაროს მამულსა და გააკეთოს. აქამდინ ნასწავლი, მეურნეობის მცოდნე კაცი არა გვყავს, ჩვენი მეურნეობა ამიტომ ცუდათ მიდის. თქვენ პირ-იქით ხელი უნდა შეუწყოთ, რომ თქვენც გამოგადგეს და სხვასაც მაგალითი აჩვენოს.

— კარგსა ბძანებთ, მაგრამ ვერ მოხერხდება. აი რა წამსაც მოვიდა, მაშინვე პლანები იქიდამ დაიწყო, ფული მოგვინდება ამდენი და ამდენიო. აბა შვილო თუ დაიწყობ და უფულოთ გაარიგებ რასმე, დაიწყე მეთქი. არა, უფულოთ ვერა გარიგდება-რაო. ვერც მე მოგართმევ მეთქი. იარა პატარა, მერე თითქოს დამყვა, დააწყო პლანი, ასე და ასე გავაკეთებო. სულ პირ-ქვე აპირებდა გადმობრუნებასა. მე ნება არ მივეცი. სულ ცარიელზე დავრჩებით მეთქი და შენი ჯაფაც ცუდათ ჩაივლის მეთქი.

— რა საბუთი გქონდათ, რომ არა გამოვიდოდა-რა?

— რა საბუთი? ბევრი, თქვენმა მზემ, ბევრი. ჯერ ერთი რომ რამდენიმე მაგალითი ვნახეთ, რუსეთიდამ და სამზღვარ-გარეთიდამ მოსულმა ჩვენმა ნასწავლმა ყმაწვილებმა რა ქნეს. ერთმა მამამ (აქ სახელი ახსენა) მრთელი მამულები სრულებით მიანდო, ფული აძლია რამდენიცა სთხოვა, და რა გამოვიდა? ჯერ ერთს მოჰკიდა ხელი, ვენახი გადაჩეხა, ახლად მოვაშენებო; მერე თავი დაანება, დანახარჯის და ჯაფის ფასი არ გამოდისო და ტყეში დაიწყო მუშაობა, სახერხავი დასდგა, ფიცრებს დავხერხავო. ამასაც თავი დაანება, ახლა ხელ-ახლად ვენახების მოშენებას აპირებს და ვნახოთ როგორ გაათავებს. ასე თხუთმეტი წელიწადია ფლანგავს ფულებს, მამაც აჰყოლია. ახლა მე თქვენა გკითხავ, განა მამულის ასე მოვლა შეიძლება, დღეს ერთი, ხვალ მეორე, ზეგ მესამე, ეს რა მამულის მოვლაა?

— რასაკვირველია ეგ შეცდომაა, დაეთანხმა სერთუკიანი. მაგრამ ეგ გამოცდილებაც კარგია.

— კარგია, ვისაც პარკებით ფული უდევს, და ვისაც სარჩო-საზადებელი მოსავლიდამა აქვს, შიმშილით მოკვდება. ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა სწავლაცა აქვთ, ის სწავლა ჩვენ არ გამოგვადგება.

—როგორ ბატონო, სწავლა ყველას ადგება და ჩვენ კი გვაწყენს, მაგას როგორა ბძანებთ?

— აი ბატონო, როგორ. საფრანგეთში და რუსეთში რომ სწავლობენ, იქაურ ანგარიშზე სწავლობენ; მოსვლის ხარჯი, მუშის ფასი თითონ მოსავლელ მოსავლის მოყვანა, ესეები იქაურ ანგარიშზეა. ჩვენში ძალიან განსხვავება აქვს; ბაზარშიაც სხვა გასავალი აქვს იქა და აქა. აბა მოდი და ესეები ყველა ერთსა და ორ წელიწადში მოახერხე. აქ ბატონო თავიდამ, ანბანიდამ ისე უნდა გამოიანგარიშო, რომ ხელ-ცარიელი არ დარჩე, ეს ვერ გაუგიათ ჩვენ ყმაწვილებსა და პირ-და-პირ იმ სწავლის გვარათ უნდათ მეურნეობის გადმობრუნება, როგორც სხვა ქვეყნების კვა-

---

*) იხ. «ივერია» № 20 1886 წ.

დიანელ ბარბაროსებისა დღეს თუ ხვალ გაიქნოდა საქართველოზედ, მოსწყვეტდა უკანასკნელს მარღს იბერიელთ ძლიერებისას. ამ მწარე დროს ახალ-გაზდა მეფემ გამოიჩინა საკვირველი ძლიერება სულისა. სიყრმითვე სარწმუნოებაში გაზრდილი და ღვთის-მეტყველურად განათლებული მეფე აღჭურვილ იყო ცხოველი ქრისტეს და ერის სიყვარულით და ამ ზეციურმა გრძნობამ განსაოცარი ძლიერების სული შთაბერა გოლიათსა მისს გვამს საბრძოლველად წინააღმდეგ ქრისტიანობის და ერის მტერთა მაჰმადიანთა. მოკლეს ხანს მან დაიმორჩილა განდგომილი ქართველთ დიდებულები და ერთი მუჭა ჯარით (უმეტეს ნაწილად მეგრელთ-იმერთაგან) უეცრად თავს დაესხა ორასი ათასს მაჰმადიან ჯარს თრიალეთში, ამოსწყვიტა და გააქცია მთელი ბანაკი ბარბაროზებისა. მოიცა კიდევ ძალა და გაჰყარა ბანაკი თათრებისა კახეთიდგან, სომხითით, შირვანით, წაართვა მათ ციხეები: სამშვილდე, რუსთავი, დაიჭირა მთელი მესხეთ-კლარჯეთი და აჭარა, გარდავიდა კავკასია, დაიპყრო დარუბანდის და დარიალის კარი და ყოველგნით განდევნა თათრები. შემოიერთა ლეკები, ყივჩაყები და ოსები, მოაქცია უმეტესი მათგანი ქრისტეს სჯულზედ და მათის განწყობილის ჯარის შემწეობით სრულიად მოსრა თათრების ჯარი კასპის ზღვის ახლო და შემოიერთა შემახიის ქვეყანა. როდესაც ევროპის ჯვართ-მოსილთა ჯარი გაჩნდა ანტიოქიაში, მეფემ გაგზავნა შემწედ ორი მხედრობა, ერთი შავის ზღვით (რომელიც დაიღუპა ზღვაში) და მეორე ხმელეთით, რომელიც ეწეოდა ევროპიელებს წმინდა ქალაქის იერუსალიმის დაპყრობაში. თვით მეფე ზამთრობით სამეგრელოში და აფხაზეთში გარდავიდოდა და განავრცო საზღვარი საქართველოსი ჯიქეთის საზღვრამდის. 1121 წელს უეცრად გარდავლო ზამთარში ლიხის მთა და მოულოდნელად დაესხა თათრებს სომხეთში და განაბნია ხონთქრის ჯარი; 1122 წელს შეება უფრო დიდს ჯარს, რომელსაც თვით ხონთქარი მელიქ-შაჰი წინ უძღოდა; მოსრა ურიცხვი და იძულებულ ჰყო ხონთქარი გზა სალტოლველი ეთხოვა მისთვის, აიღო ქურთისტანი, სომხითი და დაიჭირა დედა ქალაქი სომხითისა ანისის ციხე, ციხეებში ყოველგან თავისი ჯარი ჩააყენა და ძლევა-მოსილი შევიდა ტფილისს, რომელიც ამის წინ წაართვა თათრებს. მოსწყდა ძალა სელჯუკთ თათრებისა და ვერვინ ამის შემდეგ წინ ვერ უდგებოდა მას.

აქედგან იწყება ის დიდებული დღეები იბერიის ძლიერებისა, რომელნიც გაგრძელდნენ მეცამეტე საუკუნემდის. მეფე გიორგი III და თამარის დროს სელჯუკელ თათრები ხარკს აძლევდნენ საქართველოს.

ომისაგან მოცლილ დროს მეფე ზრუნვიდა საქართველოს შინაგან საქმის გაწყობაზედ. ღირსეულად ეწოდა მას «აღმაშენებელი». წმინდა მეფემ არა თუ შემოიერთა მთელი საქართველო, მან წესიერება დაამყარა შინაურ ცხოვრებაში; გააჩინა სამედამო, დაუშლელი ჯარი ჯამაგირზე (როჭიკზე), რიგი დასდო გამგეობისა; ორი საეკლესიო კრება მოახდინა, რომლის შემწეობით განონიერი რიგი შემოიღო ეკლესიაში, განამრავლა ტაძრები, მონასტრები, შემოიღო სწავლა-განათლება, გამართა ორი დიდი სასწავლებელი არსენ იყალთოელი ბერის და იოანე ტარიჭელის ფილოსოფოსის ზედამხედველობით და სცდილობდა სომხები მოეყვანა მართლ-მადიდებლობითის სარწმუნოებაზედ, რისთვის მან მოახდინა საჯარო ცილობა კრებაზედ სომხების სწავლულებთან, ამ ცილობაში თვით იღებდა მონაწილეობას. იყო დიდი მოყვარე სასულიერო სწავლისა, მფარველი სწავლულთა და სამღვდელო პირთა. განუშორებელნი მისი მრჩეველნი იყვნენ სიმონ ჭყონდიდელ მიტროპოლიტი და გიორგი ბედიელი, აგრეთვე არსენი იყალთოელი, მისი მოძღვარი და ქათალიკოსი იოანე. ჩვენს მწერლობაში აქამომდე დარჩენილა გრძნობით სავსე საგალობლები სასულიერო, ნაყოფი ღრმად მორწმუნის მისის სულისა. ეგრეთის ღვაწლით შემკული და დიდებით დაგვირგვინებული წმინდა მეფე გარდაიცვალა 53 წლის დაბადებითგან, შემდეგ 36 წლის ბედნიერის მეფობისა 1125 წელს, 24 იანვარს და დაიმარხა გელათის მონასტერში, იმერეთში, სადაც აქამომდე ინახება ლუსკუმა მისი და სამკაული, აგრეთვე რკინის კარი დარუბანდის ციხისა, ნიშანი მისის ძლევა მოსილის მეფობისა. იქვე შენახულია ლოდი, რომელზედაც ძლივს ამოიკითხება შემდეგი:

«ოდესმე ნაჭარმაგევს შვიდთა მეფეთა
მასპინძელ გვქმნე;
«თურქნი, სპარსნი, არაბნი საზღვართაგან ჩემთა ვიოტენ» და სხვ.

—ეგრი—

დეპეშა

იანვრის 25

ლონდონი. კაბინეტი ჯერ კიდევ დაბოლოვებულად შედგენილი არ არის. ეხლა ამბობენ, რომ როზბერი გარეშე საქმეთა მინისტრად კი არა, კოლონიების მინისტრად ინიშნებაო და გარეშე საქმეთა მინისტრად-კი დილკი ჰყავთ ხახეშიო.

ახალი ამბავი

⁂ ამ ჟამად წმ. სინოდში, რუსეთის გაზეთების სიტყვით, ერთი ჩვენთვის ფრიად საყურადღებო საქმე ირჩევა. მოგეხსენებათ, რომ ათონის მთაზე ქართველების ძველი მონასტერი ბერძნებმა დაიჩემეს და დაისაკუთრეს. იქაურთა ქართველთა ბერმონოზონთა, რომელნიც ეხლა რიცხვით ორმოცამდე არიან დიდი ღვაწლი და მეცადინეობა გასწიეს, რომ საქართველოს არ დაუკარგონ ეს ძველი და სახელ-განთქმული განძი მამაპაპისა. იქამდინ მიიყვანეს საქმე, რომ თვით ხელმწიფე იმპერატორმა თვისი მოწყალე ყურადღება მიაქცია ამ საგანს. ეს საქმე თურმე დღეს უწმინდესს სინოდში ირჩევა, როგორც ზემოთაცა ვსთქვით; ამ საქმეზედ მიჩემებულნი არიან ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობისაგან ამორჩეულნი დეპუტატები (უგანათლებულესი თავადი ნ. დ. მინგრელსკი, დ. ი. ჩუბინაშვილი, პროფესსორი ს. პ—რგის უნივერსიტეტისა ა. ა. ცაგარელი, თავადი ი. ა. ნაკაშიძე და კ. აბაშიძე-გორლენკო). ამ დეპუტატებს წარუდგენიათ სიგელები და გუჯრები, რომელნიც ამტკიცებენ, ვისიც არის მონასტერი და XI საუკ. ეკუთვნიან. დეპუტაციის შუამდგომლობას შველის და ხელს უწყობს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღომელი თავადი ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. ათონის მონაზონთა ძმობის რწმუნებულს სხი-მონოზანს ბენედიქტეს გაუგია, რომ ბერძნების მონოზანთა ამ საქმით გულ-ამღვრეულთ ინგლისის მმართველობისთვის მიუმართავთ თხოვნით, რომ მონასტერი ინგლისის მფარველობის ქვეშ მიიღეთო, ისე, როგორც ამ თხუთმეტიოდ წლის წინედ ინგლისის მმართველობის ქვეშ იყო ქოთლომუშის ათონის მონასტერიო. (გაზ. «ნოვ ობოზ.»)

⁂ 26 იანვარს ჩვენ შეგვემთხვა ვოგზალზე გასვლა ბათუმიდამ მოსასვლელ რკინის-გზის მატარებლის დასახვედრად. საშინელება იყო ამ დროს ჩვენის ტფილისის გაღმა-მხარი—კუკია: რომ იტყვიან ყელამდე ტალახიო, სწორედ კუკიის ქუჩებზე შეხვდებით: ალაგ-ალაგ დიდი გუბეები იდგა თვით მიხაილოვის ქუჩაზე, სინათლე ხომ სრულიად არსაიდამ არა სჩანდა. თითოოროლა ფარანი აქა-იქ ძლივს-ღა ბჟუტავდა, თვით ტროტუარები სავსე იყო ტალახით. ქალაქის თვით-მმართველობამ უნდა უშველოს რამე ამ საქმეს.

ცხენის რკინის გზის საზოგადოებასაც უნდა ვუსაყვედუროთ. ვოგზალზე ათს საათზედ მიმავალი ვაგონი მუშტაიდთან ჩერდება და ვოგზალთან აღარ მიჰყავს, წამსვლელ-მომსვლელებს და მიმავალთ ამ სახით შუა-გზაზე აჩერებს. მერე იქ, საიდანაც ისეთი ტალახებია ვაგზალამდე, რომ მუხლებამდე უნდა ეურიოს კაცმა. ვაგზალიდამ წამოსულმა ვაგონმა სხვა სიამოვნებაც მოგვცა: ქალაქის სანეულოსთან გადმოგვსხა და გვითხრა, საითაც გინდათ იქით წაბძანდითო, ვაგონი რელსებს გადასცდა და ცხენებსაც არაქათი აღარა აქვთ, რომ ვარანცოვის ხიდამდე მიგიყვანონო. ეს გადაწყვეტილება გამოგვიცხადეს ერთის საათის შემდეგ, როცა ვაგონი რელსებზედ ველარ შეაყენეს და ცხენებსაც ველარ გააწევინეს.

ამის გარდა, სადაური განკარგულებაა ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისა, რომ შუაღამისას ვაგზლიდამ ხალხი მოჰყავს ვარანცოვის ძეგლამდე და გამოღმა კი აღარ გამოჰყავს. ხომ ნახევრამდე პასაჟირი, თუ მეტი არა, გამოღმა არის გამოსასვლელი.

⁂ გაზ. «Каспій»-ში სწერია, რომ ზოგიერთი წვრილმანი მწარმოებელნი ნავთისა კარგს ნავთს არ აკეთებენო. ამ დღეებშიო, ამბობს გაზეთი, 15 აქლემის ქარავანი მოვიდა ჩერნი-გოროდში ნავთის საყიდლად, რომ შემდეგ ახლო-მახლო სოფლებში გაეყიდნაო. ნაყიდი ნავთი დაუყოვნებლივ ტიკჭორებში იქმნა ჩასხმული და გზას გაუდგაო. როდესაც ქარავანმა რამოდენიმე ვერსი გაიარა შემახიის გზაზედაო, მოსასვენებლად შედგა იქვე ახლო ქარვასლაშიო, ამ დროს ერთს მეაქლემეს ჩიბუხის მოწევა მოუნდა და ცეცხლის კვესება დაიწყოო. გაუფრთხილებლობისაგამო ნაპერწკალი ერთს ნავთის ტიკს დაეცა და უცბად ალი ავარდაო. ერთი ტიკიდგან ცეცხლი მეორეზე გადავიდა და ასე 15 აქლემი სხვა-და-სხვა ნივთებით და ნავთის ტიკებით ცეცხლის მსხვერპლნი შეიქმნენო; მხოლოდ კაცები-ღა გადარჩნენო.

ნაკვესი

უგანათლებულესი თავადი გარანცოვი მიბძანდა თურმე ბორჯომს. თან ახლდა იქაური დიამბეგი იასე ფავლენიშვილი. ბორჯომს მცხოვრებელმა ტატო უფიფიანმა ჰსთხოვა ფავლენიშვილს:

— მიშუამდგომლე, აგება გარანცოვმა შვილი მომინათლოსო.

— მოდი ნათლიობას თავი დაანებე, იქნება მოყვრობა მოგისდეთო,—უთხრა ფავლენიშვილმა.

ა. თ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამერიკა აღთქმის ქვეყანად გადაიქცა. სულ ოთხას წელიწადზე მეტი არ არის, რაც ევროპიელებმა პირველად მიაგნეს ამ ახლად აღმოჩენილს ქვეყანას, და ეხლა თითმის 100 მილიონამდე ევროპიელი ითვლება იქ. ყოველს წელს ათი-ათასობით იხიზნება ევროპიდამ ამერიკაში. ამ გვარი დახიზნვა არც ეხლა შეწყვეტილა. საინტერესო ცნობები მოჰყავს ჟურნალს «Новь»-ს იმის შესახებ, თუ რომელ სახელმწიფოდამ უფრო ბევრი იხიზნება. 1875 წლიდამ 1886 წლამდე, ე. ი. ათის წლის განმავლობაში ამერიკაში გარდასახლებულა:

გერმანიიდამ —	1,222,000	კაცი
ირლანდიიდამ — —	525,000	,
ინგლისიდამ — —	510,000	,
შვედ-ნორვეგიდამ —	485,000	,
იტალიიდამ — —	141,000	,
ავსტრიიდამ — —	125,000	,
შოტლანდიიდამ —	100,000	,

ლობაზე უსწავლიათ. ამით ჩვენი ყმაწვილები სულ გაგვალატაკებენ და თითონაც მობეზრდებიან. ამიტომ ვუშლი ჩემ შვილსა; ისევ სამსახური ირჩიოს, ისა სჯობს.

— კარგი; მაშ რაკი აგრე კარგა გესმით ანგარიშები, მე რომ თქვენს ადგილს ვყოფილიყავი, იცით რას ვიზამდი? დაფიქრებით მოუყვა ქალაქიდამ მოსული.

— ბძანეთ აბა? ჰკითხა მებატონემ.

— ნებას მივცემდი შვილს, იმ პირობით, რომ ჯერ მამა-პაპური მეურნეობა, ჩვენებური, ძველებური შეესწავლა, ისე მოევლო მამულისთვის, როგორც ყველა ბეჯითი მებატონე უვლის, ერთი ოთხიოდ, ხუთიოდე წელიწადი ასე შევაჩვევდი და მერე ნელ-ნელა, რასაც საკეთილოდ დავინახავდი და ჭკუაში დამიჯდებოდა, ისე შევაცვლევინებდი.

— თქვენც არ მამიკვდეთ ეგ არ ექნა, პირველსავე დღეს მებაღეს გადაგირევს, მეზვრეს დაეთრებს დაუკარგვინებს და ერთი-ორის კვირის შემდეგ მთელს მამულს სულ გადმობრუნებულს დაგიხვედრებს. ხომ იცით, მამულის საქმე საათის ჩარხსა გავს; თუ ერთი სადმე ცოტაოდე, ერთი ბეწო რამ შეიშალა, მთელი საქმე მამულისა სულ აირევ-დაირევა. თქვა მებატონემ.

— განა იმოდენა ნდობა არა გაქვთ თქვენი შვილის გონივრობისა და ჭკუისა, რომ აგრე ბძანებთ?

— არა, ბატონო, გაცხარებით უპასუხა მებატონემ, საქმე გონივრობასა და ჭკუაზე ხომ არ არის, საქმე მოთმინებაზეა. ყმაწვილი კაცია, გული ერჯის, სწავლა მიუღია, იმ სწავლის კვალობაზე მიეჩქარება; ყოველი წვრილმანი ანგარიშის, ყოველი წვრილმანი გარემოების ცოდნა სად შეუძლია? არ იცის, არ შეჩვეულა და საიდამ მოახერხებს? ამასთან სწავლაც ხომ მოგეხსენებათ, სწავლაა და არა მუდამ-დღიური საქმიანობა, პრაქტიკა, რომელიც დედა-ბოძია მეურნეობისა. აბა ახლა გამამტყუნე, შვილს მეურნეობის ნებას არ აძლევო. დავიღუპებით, ერთი წელიწადი რომ თავის რიგზე არ ვამუშავოთ მამული. ოთხი-ხუთი წელიწადი თავიდამ მუშაობის დაწყება მომინდება და რაღამ შემინახოს? ჩემ შვილს ვეუბნები, სამსახურში შედი, ფული უკუაგდე, მამული იყიდე და როგორც ჭკუა გიჭრიდეს, ისე მოუარე მეთქი!

— რას გეუბნებათ?

— მეტი რა ღონე აქვს სამსახურში შედის.

— მგონია დიდ დანაშაულობას ჩადიხართ, უთხრა მებატონეს სამდურავით სერთუკიანმა. ყმაწვილს ხალისს უკარგავთ!

— ეჰ, თქვე დალოცვილო, «სხვა სხვის ომში ბრძენიაო.» ჩვენ ყოფაში იქნებოდით, სხვას იტყოდით, მაგრამ თქვენ რა იცით სოფლის ანგარიში. ქალაქში გაგიტარებიათ თქვენი სიყმაწვილე სასწავლებელში; მერე სამსახურში ბძანდებით და ჩვენი წვრილმანი ცხოვრებისა რა გეცოდინებათ?

⁂

პატარა ხანს გაჩერების შემდეგ, დაიძრა მატარებელი. მომწყინდა პირველად ნაჯდომი ვაგონი და გადავედი სხვა ვაგონში. აქ ისხდნენ ერთ მხარეს სამნი სოფლის თავად-აზნაურები. ერთი უფრო ხანში შესული იყო, ჩერქეზული შალის კაბა ეცვა უბრალო, ეტყობოდა, რომ მუდამ სოფელში მცხოვრებელია. მეორე სამსახურში ნამყოფ აზნაურსა ჰგავდა, რომელსაც თავი დაუნებებია, ანუ, უკედ ვთქვათ, თავი დაუნებებინებიათ სამსახურისათვის. სახე ცოტა წამოკარხლებული ჰქონდა. ეტყობოდა, ლხინის მოყვარეა და იმ ჩვენი დროის სოფლის კაცების ჯურას ეკუთვნოდა, რომელნიც არცა ხვნენ, არც მკიან, ვითარცა მფრინველნი ცისანი და ამაოწუთ-სოფელს საამურად ატარებენ, რასაკვირველია, ღვინის სმაში, ერთი სიტყვით, სადაც კომლი მაღალია, მე იმისი მაყარი ვარო. ყველას სუფრაზე არჭვიან და ჩხუბის ბიჭები არიან. მესამე სოფლის ადვოკატსა ჰგავდა, რომლის მსგავსნი უკანასკნელ ხანებში ყოველ დიდ სოფელში, სადაც მომრიგებელი მსაჯულია, საკმაოდ იპოვებიან. მომუსაიფე, ტკბილი, მოლაქუცე ყოველ შეძლებულ კაცთან, მედიდური და მწყალობელის თვალით მაცქერალს ღარიბთან; ცოტა ხერხი და სიმარჯვეც ეტყობოდა, ლხინსაც არ მოსცდება, თუ მიიწვევენ და რუსულსაც ამტვრევს.

— წელს ღვთით იმედია, კარგი ღვინო მოვიდეს და ბლომათაც უნდა მოვიდეს. ამბობდა მწითური ფრინველი ცისა და მხარზე გადაიგდო მქრალი მაუდის კაბის სახელი. მადლობა ღმერთს, წელს ჩვენკენ სეტყვამ არ დაჰკრა.

რუსეთიდამ (უმეტ. ურიები)	80,000	,
შვეიცარიიდამ — —	65,000	,
საფრანგეთიდამ— —	60,000	,

ეს ცნობანი დიდი ყურადღების ღირსნი არიან. ამ გვარი ასახლ-დასახლება, აყრა-დაყრა დიდს ცვლილებას მოახდენს საზოგადოდ, როგორც ევროპიის, ისე ამერიკის ეკონომიურს და ცხოვრებითს ურთი-ერთს განწყობილებაში. ტკბილი არ უნდა იყოს სამშობლოში ცხოვრება, თუ კაცი ესე ადვილად თავს ანებებს თავის მიწა-წყალს, მამა-პაპეულს ადგილს და უცნობს ქვეყანაში ეძებს ბედნიერებას.

ზემოდ მოყვანილს ციფრებში ჩვენს ყურადღებას იქცევს გერმანია:—აქედამ ყველაზედ მეტი ხალხი გადასახლებულა. ნემენცებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს, და ამას იმითი ჰხსნიან, ვითომ ხალხი ძლიერ გამრავლდაო და სამშობლო ვეღარ იტევსო. ჩვენ კი გვგონია, რომ ამ გარემოების მიზეზი უფრო ღრმა და რთულია. ნემენცებს ანდაზად აქვთ: «სადაც კარგად მეცხოვრება, ჩემი სამშობლოც იქ არისო». მაშ ეტყობა სამშობლოში ვერაფერი განცხრომილი ცხოვრება აქვთ, თუ ასე ბლომად თავს ანებებენ და სხვაგან მიდიან.

⁂

დიდიხანია ენათა მეცნიერნი (ფილოლოგები) ცდილობენ კაცობრიობისთვის ერთი საყოველთაო ენა შეადგინონ. ამ ბოლოს დროს ამ ამბავმა დიდი ლაპარაკი და ბაასი ასტეხა მეცნიერთ შორის. რომ ამ გვარი ენა ფრიად საჭიროა და სასარგებლო ხალხთა შორებრივი ურთიერთობისათვის, ამას უარს არავინა ჰყოფს. ლაპარაკი და უთანხმოება მხოლოდ იმაზე მოსდით, თუ რა უფრო ემჯობინება: ახალი, განგებ გამოგონილი ენა შესდგეს, თუ უფრო უკეთესი იქნებაო, საერთო ენად გარდაიქცეს რომელიმე ცოცხალი ენა, რომელიც უფრო ვრცლად არის ქვეყანაზედ გავრცელებულიო.

მაშ ურიგო არ იქნება შევიტყოთ, რომელი ენა უფრო ვრცლად არის გავრცელებული ქვეყანაზედ. ამის შესახებ აი რა ცნობებია მწერლობაში:

> ყველაზე გავრცელებულ ენად ჩინეთური უნდა ჩაითვალოს. ამ ენაზე ლაპარაკობს თურმე 400 მილიონამდე კაცი, თუმცა მარტო აზიაშია ხმარებული ეს ენა.
>
> ინდოეთლების ენაზე ლაპარაკობს 200 მილიონი კაცი; ეს ენაც მარტო აზიაშია გავრცელებული. ინგლისურს ენას ხმარობს 100 მილიონი კაცი, ნახევარი ამ რიცხვისა ამერიკასა ჰხვდება წილად.
>
> რუსული ენაც 100 მილიონამდე კაცს ჰსცოდნია.
>
> ნემეცურს ენაზე ლაპარაკობს 60 მილიონი კაცი; ამ რიცხვში 57 მილიონი კაცი ევროპაშია.
>
> ესპანიურს ენაზე ლაპარაკობს 48 მილიონი კაცი; ამათში 30 მილიონი ამერიკაში სცხოვრობს.
>
> ფრანგულს ენას წილად სულ 40 მილიონი კაცი ჰრგებია.

ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ ყველაზე გავრცელებული ენა მთელს ხმელეთზე ყოფილა: ჩინეთური, ინდოეთური, ინგლისური და რუსული.

⁂

ჟურნალს «თეატრში» ორი «ხელით ხელ საგოგმანები» მარგალიტი ვიპოვნეთ და დიდი ცოდვა იქნება ჩვენის მხრივ, დავმალოთ ეს მარგალიტები და საქვეყნოდ არ გამოვაცხადოთ.

> რაც ჩვენ დედა-ქალაქში ოპერა შემოიღესო, გვასწავლებს ვ. მირიანაშვილი, ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებას სხვა-და-სხვა სიამოვნება შეხვდა. რუსულმა ოპერებმა, კონცერტებმა, იტალიურმა ოპერებმა და კონცერტებმა და არა ნაკლებ იმ გარემოებამაც, რომ სახელმწიფო სასწავლებელში ჩვენებურ ყმაწვილებს რუსულს სიმღერებს ასწავლიან, დიდად შეაჩვია ხალხი გალობას და სიმღერას.

საბრალო ქართველებო, ძლივს მზე არ ამოგსვლიათ! რა გეშველებოდათ, ოპერა რომ არ შემოღებულიყო ჩვენში? ნეტავი ბ. მირიანაშვილმა აგვიხსნას, რას შვრებოდნენ საწყალი ქართველები ლხინში, წვეულებაში, ქორწილში, ვიდრე ოპერა შემოვიდოდა, ეხლა-კი როგორცა სჩანს აღარა უშავსთ-რა ქართველებს, სიმღერას შესჩვევიან—ბ. მირიანაშვილის სიტყვით, უწინ, რადგანაც შეჩვეულნი არა ყოფილან, სიმღერები არა ჰქონიათ, საწყალს ქართველებს. ესეც ახალი ამერიკა!

> ჩვენი ახალგაზდა პოეტები რომ დათარგმნიდნენ იმ ხელოვნურ რუსულ სიმღერებს, რომელსაც დღეს მღერიან ჩვენს საზოგადოებაში? განაგრძობს ავტორი, დიდ სამსახურს გაუწევენ აქაურს ხელოვნებას. არც ერთი რედაქციონი (?) მათი დაბეჭვდის უარს არ იტყვის.

სხვა რედაქციებისა-კი რა მოგახსენოთ და რაც შეეხება ჩვენ რედაქციას, ნება უბოძეთ ამანაც თავის აზრი იქონიოს ამ გვარ, მაგალითებრ, ლექსებზე:

> შენ სარკმელს ქვეშ ვდგევარ, გიცქერ
> და შენი ცქერით ვტკბები;
> საყვარელო გეტრფი, გიმღერ,
> შენ სახელს ვენაცვლები.
>
> მკითხველიც დაინახავს, ბძანებს ავტორი, რომ ეს ლექსი ძლიერ ხელოვნურად არის ნათარგმნი. მუსიკა და რითმი ორივეა დაცული.

იქნება ამ ლექსში «მუსიკა და რითმი» დაცულიც იყოს, მაგრამ კაცსაც ყურები დაცმული უნდა ჰქონდეს, რომ ამ ლექსში «მუსიკა და რითმი» იპოვოს.

⁂

მეორე მარგალიტი უფრო უკეთესია. ვიღაც ბ-ნი კავთელი ვითომ კრიტიკოსობას სჩემობს, საყმაწვილო ჟურნალს «ნობათს» არჩევს და აი სხვათა შორის რა გონების გამჭრიახობას იჩენს:

> (წყალი და მისი თვისებანი. ალ. მირიანაშვილისა) ამ ფილოსოფიურს ტრაქტატზედ არას ვიტყვით, რადგანაც უადგილოა ამის ამ ჟურნალში დაბეჭდვა. ნუ თუ შესაძლებელია ათის წლის ბავშვის გონებისათვის არქიმედის თეორიის შეთვისება? ჩვენის აზრით სრულიად უადგილოა ამ გვარი სტატიების ბეჭდვა.

მეტი უმეცრება კიდევ გინახავთ? მარტივი საფიზიკო საგანი, როგორც წყალი და მის თვისება, ადვილად მისაწდომი ექვსის წლის ყმაწვილისთვისაც-კი, კრიტიკოსს ისეთ დაბურულ ტყედ მოსჩვენებია, რომ შიშით ფილოსოფიურ ტრაქტატად უცვნია. აი რომ იტყვიან, ფაფისაგან შეშინებული დოს უბერავდაო, — სწორედ ეს არის.—როგორ არა ვთქვათ:

«Бѣда, коль пироги начнетъ печи сапожникъ,
А сапоги точать пирожникъ!».

დამაკვირდი!

ზნეობა—გონიერებაა გულისა. (ჰეინე)

⁂

ოხვრა—აწმყოს მიმართ უკმდრებაა, ნამყოს მიმართ ღიმილია.

⁂

ვინც სუსტის ხასიათისაა, იგი კაცი კი არ არის, ნივთია. (შამფორტი)

⁂

როცა ყველანი დამნაშავე არიან, არავინ არის დამნაშავე. (ლა შოსსე)

⁂

სად გაგონება არ არის, კარგვაა სიმართლისაო. (მთიულის ნათქვამი)

⁂

პირროსმა ორჯელ ძლიერ გაიმარჯვა რომაელზედ, მაგრამ თვითონაც დიდი ზარალი ნახა.

— კიდევ ერთი ამისთანა გამარჯვება და ჩემი მიწასთან გასწორება ერთი იქნებაო, ჰსთქვა თურმე.

უცხოეთი

ინგლისი. სალისბერის სამინისტრო გადადგა და დედოფალი ვიქტორია იძულებული იყო ახალის სამინისტროს შედგენა მიენდო გლადსტონისათვის. ვამბობთ იძულებული იყოთქო იმიტომ, რომ დედოფალს თვალში არ მოსდის ლიბერალების მოთავე გლადსტონი: ცოტა არ იყოს ათვალწუნებული ჰყავს. ამ ექვსის წლის წინად, როცა ბიკონსფილდის კაბინეტი დამარცხდა, დედოფალი დიდ-ხანს დაფიქრდა,—ვის მიანდო შედგენა ახალის სამინისტროსიო. ამ აზრით მან მოიწვია კიდევ თავისთან ლორდი გრანვილი და მარკიზი ჰარტინგტონი, მაგრამ იმათ უარი ჰსთქვეს—სამინისტროს ვერ შევადგენთო, ლიბერალთა სამინისტროს თუ არ გლადსტონი, სხვა ვერავინ შეადგენსო. დიზრაელმაც ურჩია დედოფალს, რომ მკვიდრის სამინისტროს შედგენა თუ გსურთ, ისევ გლადსტონს მიჰმართეთო.

საყურადღებოა, შვიდის თვის წინად გლადსტონის სამინისტრო გადადგა იმ მიზეზით, რომ ტორიები და პარნელის მომხრენი ერთად შეერთდენ და ეხლა კი სალისბერის სამინისტრო ვიგებისა და იმავ პარნელისტების შეერთების გამო გადადგა. ჰსჩანს, ვისაც პარნელისტები მიემხრობიან, იმათ გაუმარჯვნიათ. პარნელისტები კიდევ იმათ მიემხრობიან ხოლმე, ვინც ირლანდიის საკეთილოდ ბევრს იმედს იძლევა. ამ ბოლოს დროს გლადსტონის დაპირებაზე ირლანდიელთათვის ბევრი რამ გაზვიადებული ხმები ისმოდა. გლადსტონს უნდა ირლანდიელებს ყოველგვარი სურვილი შეუსრულოსო. ამ გარემოებამ მოუღო ბოლო სალისბერის და გლადსტონი კვლავ სამინისტროს მეთაურად გახდა. მაგრამ ამავე გარემოებამ ბევრი მომხრე დაუკარგა გლადსტონს და მერე ისეთი მომხრენი, რომელთაც დიდი ხმა და გავლენა აქვთ ინგლისში. ესენი სულ ჰერცოგები და მარკიზები არიან და მოჰკრეს თუ არა ყური, რომ გლადსტონი ირლანდიას მეტის-მეტსა ჰპირდებაო, იწყინეს და გლადსტონს ჩამოეცალნენ.

გენერალ ლორდს უოლსლეის გრძელი სიტყვა წარმოუთქვამს ერთს სამხედროთა წვეულებაზედ ლონდონში ინგლისის ჯარისა და ფლოტის შესახებ. გენერალს, სხვათა-შორის, უთქვამს, რომ ჩვენი სამხედრო ძალი იმდენი არ არის, როგორც სასურველიაო. ჩვენ, თითქმის ყველგან, მთელის დედა-მიწის ზურგზედა გვაქვს საფიქრებელი საქმეებიო და, მაშასადამე, უფრო მეტი ჯარი და ძლიერი ფლოტი უნდა გვყავდესო. ის ერი, რომელიც თავის დროზე არა ზრუნავს, აიცდინოს ყოველივე ფათერაკიო, რათა უსაზღვროდ არ მოუვლინოს რამე უბედურება, მერე ბევრს ინანებსო. ჩვენ ბევრი განსაცდელი მოგველის და მერე რაღა პირით უნდა შევხვდოთ ერთმანეთს, რომ ერთ ამისთანა განსაცდელის დროს, დავღუპოთ ჩვენი ზღვისა და ხმელეთის ჯარის კაცნი ჩვენის უზრუნველობისა და დროზე თავშეუდგებლობის გამოვო.

განსაცდელიო, რომ ამბობს გენერალი, მარტო გარეშე საქმეების გამო კი არ ამბობს; შინაური საქმეებიცა აქვს სახეში. ირლანდიასთან ბრძოლაც, რომელიც აუცილებელი იქნება დღეს თუ ხვალე, მომზადებას ითხოვს. თუ პარნელისტების მოლოდინი და გლადსტონის დაპირება ნახევრობით მაინც არ შესრულდა, განსაცდელი ადვილად იჩენს თავს. ამერიკელები ფენიებიც არ სცხრებიან და ემზადებიან ყოველ შემთხვევისათვის.

ამ დინამიტების მოთავეს ო'დონოვან როსსას უთქვამს, რომ მე მოქმედებას მაშინ დავიწყებ, როცა არც პარლამენტი და არც მმართებლობა არაფრის გაკეთებას არ მოინდომებს ირლანდიის საკეთილოდაო. მე არა მსურს მტრობა დავუწყო კვლავ ინგლისს, მაგრამ მეტი ღონე არ იქნებაო.

* * *

ავსტრი-ვენგრია. მთელი ავსტრო-ვენგრიაა დღეს და ანდრაშის სიტყვა, ამას წინად წარმოთქმული პეშტში. არამც თუ ავსტრო-ვენგრია, ევროპაც-კი მღელვარებით შეჰყურებს ეხლა ავსტრო-ვენგრიას და ყურს უგდებს უწინდელის ნამინისტრალის აზრებსა და პლანების გავრცელებას

— ღვინო კი იქნება, მაგრამ გვალვამ პური მოგვიწვა. გულ-ნაკლულსავით წარმოსთქვა მოხუცმა. ბატონო, ერთ სიკეთეს ვნახავთ; მეორეს აკლდება; მეორე მოვა და პირველს დააკლდება. კი ვერ გასწორდება ეს სასწორი მოსავალისა და.

— არა, მაინც, წელს კაი მოსავალია, ვერ ვუსაყვედურებთ. ჩაუმატა სიტყვა ადვოკატმა.

— მოვიდეს, არ მოვიდეს, შეაწყვეტინა დარბაისელმა მოხუცმა,—ბატონო, გამოსავალს კი თვალით არა ნახავ და, მოურავეებისა და მუშების გადამკიდე! თქვენ რა გიპირთ, სასამართლოებში დადიხართ, ფულს იჩხრიალებთ, არც მუშა გაწუხებთ, არც მებაღე, არც მოურავი.

— მე და ჩემმა ღმერთმა, ეგ მართალი ბძანეთ, თქვა ყურთმაჯიანმა აზნაურმა.

— ახლა, ბატონო, სამსახურის კაცისთანა ბედნიერი ვინ არის? გახდება თთვის ოცი, წავა დაითვლის ჯამაგირსა და არის გულ-ნებივრადა. რა აწუხებს? დაუსეტყვავს, თუ გვალვა მოუწვავს? განაგრძო მოხუცმა.

— არაფერი ეგეები არ აწუხებს, მაგრამ, მაგარი ეს არის, მართლა თქვენ ადვილი გგონიათ სამსახური? უპასუხა მწითურმა აზნაურმა. იქაც რამდენი დავიდარაბაა. უფროსი რომ გაგიჯავრდება, სეტყვაზე უარესია, ახლა, ბატონო, დილით მომართულ ჩარხივით უნდა დანიშნულ საათზე წახვიდე.

— სწორედ, ჩაურთო სიტყვა ადვოკატმა. განა სამსახურს ცოტა მოუსვენრობა აქვს? ჩვენი მებატონე რათ ილუპება და იქცევა? იმიტომ, რომ ყველაფერზე თვალი არ უპირავს. სამსახურის კაციც რომ ასე გაირჯეს, ვერაფერს გააკეთებს და ბოლოს ან პანჩურს ჰკრეენ, ან სულ ვირის კუდივით დარჩება გაუზდელი იმისი ჯამაგირიცა:

— ეჰ, შე დალოცვილო, ასე გონია არ გენახოს ჩვენი ამბავი! ბატონო, ხარ ამ ბიჭებისა და მოურავეების ხელში. პატრონი კი არა ხარ მამულისა, ბიჭების ყმა ხარ. აი ბატონო: დავაყენე მებაღე ვენახში. ჩამოუარე, რაკი ყურძენი შემოვიდა ვივარაუდე, ამდენი და ამდენი მომივა-მეთქი. დაწურვის დროს გაქრა: ასე ცოტა გამოვიდაო. ახლა; ბატონო, მეორე წელს ავდექი და მტევნები შიგა-და-შიგ შევკარი ძაფითა. მოვედივარ, აღარა ვხედავ. მებაღეს ვეუბნები: შენ ასეთ-ისეთო, ეს ყურძენი რა იქნა მეთქი? ჩიტმა შეჭამაო. ახლა მარცვალი შეჭამა, მტევნის კლერტი აღარ დარჩებოდა-მეთქი? რა ვიციო! ვაჩვენე, ძაფები ისევ ღერზე ეკიდა! რას წაართმევ? აი კიდევ: კაკალს გისხია, რომ რაღა მოგახსენო: ქარი ატყდა. მეორეს დღეს ჩავექანე: ხეებს აღარა-ასხია-რა. ბიჭო, რა იქნა კაკალი-მეთქი? რა ვიციო.—არა, ნაყარი მაინც არ დარჩომეთქი? აი ეს არისო, — ცოტაოდე ეჩნია.—აქეთ ვეცი, იქით ვეცი, თურმე, აუვსია გოდრები და ურემზე არ დაუდვია წასაღებათა! ურტყი კარგები, მაგრამ რა გამოვიდა. რომელი ერთი მოვთვალო. ღვინოს ჩაასხამ ქვევრში—ამოიღებს და ლოდებს ჩაჰყრის. აი რა წვალებაში ვართ! ერთს დაითხოვ, მეორეც ამისთანაა, მესამეც და მესვე. ქურდობით დაქცეულები ვართ, ვერავის ენდობი, მებაღეა, მოურავია, თუ მოსამსახურეა. აბა რა არის ჩვენი ცხოვრება?

— მართალი ბრძანებაა, სამსახური სხვაა, თქვა მწითურმა აზნაურმა, მე რომ ქალაქი არ მომბეზრებოდა, თავის დღეში სოფელში არ მოვიდოდი.

— შენ-კი რა მოგახსენო და ეს არის დაჩვეული ვართ მამა-პაპით ამ სოფელს, თორემ, რა არის ჩვენი ცხოვრება? მე ხომ არც სადავო მაქვს, არც გასაყოფი, მაგრამ წვალება დიდია.

— ლხინიც დიდია, ბიძია-ჩემო, მე და ჩემმა ღმერთმა, უთხრა აზნაურმა, თქვენ რა იცით ქალაქის ამბები?.. იქაც იმდენი ხათაბალაა, რომ ბევრი ჩინოვნიკია, ლუკმა ენატრება, ბოლოს დგება და თავს იხრჩობს.

— ოჰ ღმერთმა დაგვიფაროს! რასაკვირველია, სოფელში ღმერთი ისე არ გაგვიწყრება, რომ ლუკმა გამოგველიოს. მაგრამ ცოდვის ლუკმას-კი ვჭამთ.

ანჩხატელი

(შემდეგი იქნება)

ბალკანიის საქმეთაშესახებ. ანდრაშის აზრით, აღმოსავლეთის რუმელია, დღესაკლები, ჭლექით დასნეულებული შვილი ბერლინის კონგრესისა, უნდა ძლიერი და შეერთებული ბოლგარია დაარსდესო. მაგრამ, რატომ მაშინ არ ამბობდა ამას ანდრაშიო, ამბობს გაზეთი «Новости», როცა 8 წლის წინად, ბიკონსფილდის ნაგონებით, დაჟინებით გაიძახოდა: ბოლგარია უთუოდ უნდა განაწილდესო. ანდრაშის სიტყვა ამტკიცებს, რომ ავსტრიას ორ მმართებლობათა შორის ვერაფერი თანხმობა ჰსუფევს. ავსტრიის გაზეთებსა და კალნიკის გერმანიისა და რუსეთის მეგობრობა ჰსურსთ, პეშტის გაზეთები და ვენგრიის პალატის უმწვერვალესი დასი კი ჰქადაგებს, რომ კალნიკის პოლიტიკა საკმაოდ ავსტრიული არ არისო და ჰკიცხვენ—გერმანიასა და რუსეთს მახანხალასავით უკან მისდევსო. უმწვერვალესის დასის წარმომადგენელს უგრონს უთქვამს, რომ დროა ავსტრიამ თავი დაანებოს გერმანიას, რადგან გერმანიას ავსტრიასთან თუ მეგობრობა აქვს იმიტომ—რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ეს მეგობრობაო.

ავსტრია უნდა მიემხროს იტალიასა და საბერძნეთსაო, რადგან ესენი მისი ბუნებრივნი მოკავშირენი არიანო. ამათთან ერთად თუ ვიქნებით, მაშინ შეგვეძლება შევებრძოლოთ ჩვენ იმ ვეშაპსა, რომელსაც პანგერმანიზმი და პანსლავიზმი ჰქვიანო. ავსტრია სერბიისათვის ძალიან ცოტას ეცადაო, იმ სერბიისათვის, რომელმაც ჩვენი გულისათვის უარჰყო პანსლავიზმიო. «ჩემის აზრითაო, უთქვამს უგრონს,—«სწორედ ესლა, როცა ბოლგარია და რუსეთი ერთმანეთს ასე გაუცულ-გრილდნენ, დრო გვაქვს, რომ ავსტრიის მფარველობის ქვეშ დავამკვიდროთ დამოუკიდებელი ბოლგარიაო.

ოსმალეთი. ოსმალეთს უკვე დაუნიშნავს კომმისია, რომელმაც უნდა განსინჯოს ორგანებური სტატუტი აღმოსავლეთის რუმელიისა. კომმისიას ხელი მიუყვია მუშაობისათვის, და რამდენიმე კრება კიდეც ჰქონია. სერბიისა და საბერძნეთის უარმა თოფ-იარაღის ახსნის შესახებ სრულიად გონება დაუბნია ოსმალეთს. ოსმალეთს ეგონა, რომ ევროპა ადვილად მოახერხებს და ძალას დაატანს ამ ორს სახელმწიფოს და თოფ-იარაღს აახსნევინებსო. მარტო ამის იმედი ჰქონდა, რომ სისხლის ღვრას აიცილებდა. რაიცა შეეხება მას, რომ ვითომ რუმელია და ბოლგარია ძალათ ხმლით გააცალკ-ცალკეონ, ეს პორტას აზრით მოუხერხებელია, რადგნაც შეიძლება საერთო არეულობა გამოიწვიოს და ოტტომანთა იმპერია სრულიად დაჰღუპოსო.

დიდს ვეზირს ქიამილ-ფაშას უთქვამს, რომ ბოლგარიის გაერთება აუცილებელი საქმე იყოვო და ამ საქმის ჩაშლა ყოვლად შეუძლებელი-ღაარო.

* * *

გვიან მოსული დეპეშა

27 იანვარი

ლონდონი. დეპუტატთა პალატის კრება გადიდვა ექვს თებერვლამდე.

ბელგრადი. კოროლი მილანი აპირობს ვენაში წასვლას, რომ საქმეთა მდგომარეობა გამოიკვლიოს.

სტამბოლი. დიდთა სახელმწიფოთა ელჩებმა წარუდგინეს პორტას, რომ მორიგების ლაპარაკის დროს სერბიასთან ბუქარესტში სახეში იქონიონ შემდეგი მუხლნი: აუცილებლად დაცულ იქმნას ბერლინის ხელშეკრულობა; სერბიას არ მოეთხოვოს სამხედრო დანახარჯის ზღვევა; აღმოსავლეთ-რუმელიის საქმეზედ სიტყვაც არ იყოს ჩამოგდებული, რადგანაც ეგ საქმე სულ მთლად შინაური საქმეა, და ყოველივე ნალაპარაკევი შერიგების გამო ეცნობოს სახელმწიფოების წარმომადგენელთ.

ბუქარესტი. ყველა სახელმწიფოებმა, რუსეთის გარდა, სიამოვნებით მიიღეს ოსმალ-ბოლგართა შორის მორიგება, ხოლო რუსეთმა რამდენიმე ცვლილება მოითხოვა, პორტას-კი მაინც იმედი აქვს, რომ სახელმწიფონი საქმეს მოაგვარებენ და რუსეთის თანხმობასაც მოიპოვებენ. ამბობენ, რომ განსაკუთრებით გერმანია ცდილობს და მოქმედობსო პეტერბურგში ამ თანხმობის მოსაპოებლად..

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ **1886** წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14.
ამისი ქორონიკონი—უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა—23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, ამავ დღიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

იანვარი 31 დღით არის.

28 დღე სამშაბათი. ღირს. ეფრემ ასურ. სომეხ. წმ. ანდრია მხედართ-მთავარი კათ. კირილე ეპ., ფლავიანესი და კარდასსა. მუსულმ. 6 დღე თთვისა ჯემდ-ულ-ეველ 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—27. ტფილისში მზე ამოდის 7—4; ჩადის 5—25. მთვარე ამოდის 4—48; ჩა-10—22 ღ.

29 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწამე ეგნატი ღმერთ-შემოსილისა, ღირსისა ლავრენტი, რომანოს. სომეხთა მარხვაა. კათოლ. ფრანცისკისა.

დამტკიცდა პირველი წესდება მართმადიდებლის ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოებისა კავკასიაში (1865 წ.) ჭეშმარიტი შუადღე 12—14—28. ტფილისში მზე ამოდის 7—3; ჩადის 5—26. მთვარე ამოდის 10—20; ჩადის 11—22 ღ.

30 დღე ხუთშაბათი. წმ. დიდთ-მღვდელ-მთავართა: ვასილი დიდისა, გრიგოლ ღვთის-მეტყვ. და იოანე ოქროპირისა. სომეხ. წმ. ადრიანესი; კათოლ. ქალწულისა მარტინასი. მუსულმ. დაბადება ალისა (სუნიტის მომლვრ.) ჭეშმარიტი შუადღე 12—14—28. ტფილისში მზე ამოდის 7—3, ჩადის 5—26; მთვარე ამოდის 10—55; ჩადის 11—22.

31 დღე პარასკევი. წმ. საკვირველ-მოქმედის კვიროსი, იოანესი, ხსოვა შიო მღვიმელის სასწაულისა. სომეხ. მარხვაა. კათოლ. პეტრესი. 5—46 წ. ტფილისში იწყობა პირველი ხარისხი მთვარისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—27. ტფილისში მზე ამოდის 7—1; ჩადის 5—29. მთვარე ამოდის 11—35. ჩადის 12—24 ნღ.

ფებერვალი 28 დღით არის

1 დღე შაბათი. წმ. მოწამე ტრიფონ, სომ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა; კათოლ. ეგნატესი ეპ. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—26; ტფილისში მზე ამოდის 6—58; ჩადის 5—30; მთვარე ამოდის 12—21; ჩადის 1—25 ნღ.

2 დღე კვირა. მიგებება უფლისა, აგრეთვე კათოლიკეთა; სომ. ალების ღამე არაჯაორაც მარხვისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—24. ტფილისში მზე ამოდის 6—57. ჩადის 5—32; მთვარე ამოდის 1—12; ჩადის 2—26 ნღ.

3 დღე ორშაბათი. წმ. სვიმეონ ღვთის მიმრქმელისა, წინასწარმეტყველისა ანნასი. კათ. ბლიაზისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—14—21; ტფილისში მზე ამოდის 6—55., ჩადის 5—33. მთვარე ამოდის 2—13; ჩადის 3—28 ნღ.

* * *

გამოსადეგი ცნობანი.

მაზანდა.

1 იანვრიდამ 1-ლ თებერვლამდე.

რუსეთის ფქვილისაგან გამომცხვარი პური 1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხისა.	2¼ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3½ »
მე-3 —	3 »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალალაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	7 »
ღორის ხორცი 1-ლის ხარისხ.	5 »
2-ის ხარისხ.	4 »

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.
ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.
ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.
ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. ,, — ,, დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.
სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.
კავკავში შედის -- — 5 ს. 15 წ.
კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 -

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.
კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.
ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

საუცხოო კახური ღვინოები

კნ. თ. **ერისთავის** ახლათ გალებულს სარდაფში, სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაში, ამირალოვის სახლში, № 8. (2—1)

ბ. ლიამის

მოსამზადებელი სასწავლებელი

პანსიონითურთ.

კუკია, ანდრეევის ქუჩა № 13. (10—9)

ქალაქის გამგეობა

მოიწვევს მათ, ვისაც ჰსურსთ, ქალაქის წყლის-გაყვანისთვის საჭირო მიწის სამუშაო ნარდად აიღონ, მობძანდნენ გამგეობის სადგურში მომავლის თთვის თებერვლის 7-ს, დილის 12 საათზე. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ-დღე გამგეობაში, დილის 10 საათიდგან, შუა-დღის 2 საათამდე. (3—2)

საპოლიტიკო და სალიტერატურო

გაზეთი

„ივერია“

1886 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თთვით	10 მ. — კ.	6 თთვით	6 მ. — კ.
11 »	9 » 50	5 »	5 » 25 „
10 »	8 » 75 »	4 »	4 » 75 „
9 »	8 » — »	3 »	3 » 50 „
8 »	7 » 25 »	2 »	2 » 75 „
7 »	6 » 50 »	1 »	1 » 50 „

სამზღვარ-გარედ დაბარებული ღირება—17 მან. მთელის წლით.

სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მანათად.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты
«ИВЕРІЯ.»

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში — ერთი მანათი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში, შავერდოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და ბრიქუროვის წიგნების მაღაზიებში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდი ხელნაწერები, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქმნება ყოველ-დღე პირველ საათიდამ სამს საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дозволено цензурою Тифлисъ 27 января, 1886 года ქვთამე ი. ხელაძის სტამბა სასპრნის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.